ეროვნულმა საბჭომ ბაქოში პირველი მიტინგი ჩაატარა - ვიდეოები



მიტინგის წინ ჟურნალისტებისთვის განცხადებაში ასფპ-ის თავმჯდომარემ ალი ქარიმლის მიტინგის აქტიურობა დადებითად შეაფასა და განაცხადა, რომ მთავარი მოთხოვნა თავისუფალი არჩევნების ჩატარებაა.
მიტინგი იბრაჰიმ იბრაჰიმოვმა გახსნა და განაცხადა, რომ მთავარი თავისუფალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნის გაჟღერებაა. მან აღნიშნა, რომ მედიაში ეროვნული საბჭოს ერთადერთი კანდიდატის რუსტამ იბრაჰიმბეიოვის წინააღმდეგ ცილისწამების კამპანია დაიწყო.
აღსანიშნავია, რომ მომიტინგეებს შორის ალი ქარიმლი, ისა გამბარი, მირმაჰმუდ მირალიოღლუ, ელდარ ნამაზოვი არიან.
მიტინგზე ეროვნული საბჭოს პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატის რუსტამ იბრაჰიმბეიოვის განცხადება წაიკითხეს. შემდეგ სიტყვა მუსავატის ლიდერს ისა გამბარს მიეცა. მუსავატის ლიდერმა ისა გამბარმა გამოსვლაზე ეროვნული საბჭოს ერთადერთი კანდიდატის საკითხზე ისაუბრა:
"იბრაჰიმბეიოვის წინააღმდეგ ხელოვნური შეფერხებები შეიქმნა. ჩვენ ამ შეფერხებების გადალახვის ძალა გვაქვს. ჩვენ საბრძოლო ველს ცარიელს არ დავტოვებთ. ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაზე სერიოზული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული. ბატონი რუსტამის თანხმობით ორი ვარიანტიდან ერთ-ერთს ავირჩევთ. კიდევ ერთი ხალხის ფავორიტი ინტელექტუალის კანდიდატურის წამოყენებას მივაღწევთ. მასთან ერთად არჩევნებზე მივალთ, ან პარტიიდან ვისაც უნდა კანდიდატურა წამოაყენოს. დღეს ჩვენ გვაკრიტიკებენ. ხელისუფლებასაც არ ჰყავს ერთადერთი კანდიდატი".

ეროვნულმა საბჭომ ბაქოში პირველი მიტინგი ჩაატარა - ვიდეოები

მიტინგზე მოედნისთვის მიწოდებული ელექტროენერგია შეწყდა.
მომიტინგეებმა ელექტროენერგიის შეწყვეტა შეძახილებით გააპროტესტეს. ამის შემდეგ მოედანს ელექტროენერგიის მიწოდება განახლდა და გამოსვლები გაგრძელდა.
მიტინგზე პოლიტპატიმრებს თავისუფლება, თავისუფალი არჩევნების მაგვარი მოთხოვნების რეზოლუცია მიღებულ იქნა. 19:30-ზე ეროვნული საბჭოს პირველი მიტინგი დახურულად განაცხადდა და "უვერტიურით" დასრულდა.

{youtube}_Tkky4E8Vo8{/youtube}
{youtube}YnO-N5juTCI{/youtube} {youtube}KMyD-LlwSZ0{/youtube} {youtube}J0PfIKp1lGI{/yo utube} {youtube}in-eOab oUmw{/youtube}
{
youtube}iZvfZyKhGW0{/youtube}